

პირველი ტენდერი: როგორ გადაურჩა “ილი ჯგუფი” დისკვალიფიკაციას

რუსთავის უფასო სასადილოების ტენდერი წელს 2021 წლის იანვარში გამოცხადდა, რუსთავის მერიამ სატენდერო ფასად 1 ბენეფიციარზე დღიურად 1 ლარი და 99 თეთრი განსაზღვრა. ტენდერის წესებით, ვინც მენიუს და მომსახურებას მერიას უფრო დაბალ ფასად შესთავაზებდა, გამარჯვებულად ის იქნებოდა.

გამარჯვების პირველი პრეტენდენტი „ილი ჯგუფი“ გახდა. კომპანიამ სახელმწიფოს ერთი ბენეფიციარის კვებისთვის დაახლოებით 1.6 ლარი მოსთხოვა და კომისიას წარუდგინა რუსთავში მდებარე ოთხი ფართი, სადაც სასადილოებს მოაწყობდა.

რუსთავის მერიის სოციალური სამსახურის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ნინო ქვირიამ გამარჯვების პირველი პრეტენდენტის, „ილი ჯგუფის“ შეთავაზებული სასადილო ფართები დაათვალიერა და დაიწუნა: „რამდენიმე ადამიანი მივედით ფართების შესამოწმებლად, ვუთხარი, რომ შეუძლებელია ამ ფართების გამოყენება. პრეტენზია წამოვიდა “ილი ჯგუფის” მხრიდან, მე ამ ფართებზე რამდენი ხანია იჯარა გავაკეთე, გავარემონტე და ახლა მეუბნებითო. დავრჩი სახტად, ვინ მოგვით გამარჯვების პირობა-მეთქი?!

[ფართები] წინასწარ ჰქონდა დაქირავებული, რემონტი დაწყებული, მას გარანტია ჰქონდა მიცემული, რომ აუცილებლად გაიმარჯვებდა ტენდერში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯს რატომ გასწევდა?“, - უთხრა ნინო ქვირიამ რადიო თავისუფლებას.

რუსთავში სასადილოებისთვის ფართები „ილი ჯგუფს“ ტენდერის გამოცხადებამდე, 2020 წლის დეკემბერში ჰქონდა იჯარით აღებული. გადამოწმებულია რადიო თავისუფლების მიერ

ტენდერში შეთავაზებული ფართების სასადილოების საჭიროებებისთვის შეუსაბამობის გამო, მერიის სატენდერო კომისიას ან „ილისთვის“ სასწრაფოდ ახალი ფართების მოძიება უნდა მოეთხოვა, ან მისი დისკვალიფიკაცია მოეხდინა და მომდევნო პრეტენდენტის წინადადება განეხილა.

რუსთავის მერიამ კი ტენდერი საერთოდ შეწყვიტა, მერე ხელახლა გამოაცხადა და „ილი ჯგუფს“ გამარჯვება მიანიჭა.

„ილის“ კონკურენტმა შპს „ალიონმა“, რომელიც რუსთავის უფასო სასადილოებს გასულ წლებში ემსახურებოდა, შესყიდვების სააგენტოში იჩივლა. დავების საბჭომ „ალიონის“ საჩივარი არ დააკმაყოფილა - დაგვიანებულიაო.

„ილის“ კონკურენტი კომპანიის ხელმძღვანელი თეონა ჯავახიშვილი რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ „ილი ჯგუფის“ შემოყვანა რუსთავის უფასო სასადილოებში რუსთავის მაჟორიტარმა, და დღეს უკვე რუსთავის მერმა, ნინო ლაცაბიძემ გადაწყვიტა.

„ილი ჯგუფს“ რუსთავის ტენდერში ლობირებდა ნინო ლაცაბიძე, „ილი“ შტაბში ეხმარებოდა ლაცაბიძეს [საპარლამენტო] არჩევნების დროს. მე ამას დაზუსტებით გეუბნებით, არ

გეუბნებით ჭორის დონეზე. მე ვარ უპარტიო და არცერთ პარტიას არასოდეს არ ვუჭერდი მხარს, ჩემი ჩაჩოჩება იოლი იყო“.

მერიის სოციალური სამსახურის ყოფილი უფროსი ნინო ქვირიაც ადასტურებს ტენდერში რუსთავის მაშინდელი მაჟორიტარის, ნინო ლაცაბიძის ჩარევას.

„ტენდერი რომელ დღესაც უნდა დასრულებულიყო, 12 საათზე იმ დღეს მე და მერის მოადგილე ირმა მესხს გვიბარებენ ლაცაბიძის შტაბში, ტენდერში გამარჯვებულის საკითხი გავიაროთო. გვითხრეს, დაიბარეთ გამარჯვებული კომპანიის მენეჯერები და შეუდგნენ მუშაობასო. ჩვენ განვუმარტეთ, რომ ამ კომპანიის საბოლოოდ გამარჯვებამდე წინ კიდევ რამდენიმე ეტაპი იყო. მერის მოადგილე ირმა მესხმა მაშინვე თქვა, მე ამ კომპანიასთან ხელშეკრულებას ხელს არ მოვაწერო, სხვას მიეცით დელეგირებაო. იმიტომ, რომ ნათელი იყო, ამ თანხაში კომპანია წესიერად ვერ გამოკვებავდა ბენეფიციარებს“.

უთხრა რადიო თავისუფლებას ნინო ქვირიამ.

ნინო ქვირიას მონათხრობი რადიო თავისუფლებას ირმა მესხმაც დაუდასტურა, იგი ტენდერის მიმდინარეობისას რუსთავის მერის მოადგილე იყო, გვითხრა, რომ „ილისთვის“ ტენდერის პირობების მორგება გააპროტესტა, რის შემდეგაც მაშინდელმა მერმა თანამდებობიდან გაათავისუფლა.

მისი და „ქართული ოცნების“ მიერ „ილი ჯგუფის“ ლობირებას უარყოფს ნინო ლაცაბიძე.